ბრძანება:**ბ76. 762513510**
თარიღი:**15/05/2025**

საქართველო, ქალაქი ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების ინიცირების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე, 54-ე მუხლების; საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების; საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 და მე-7 ქვეპუნქტების და ამავე დადგენილების მე-2 მუხლის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების; იწის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათისა (N:39-762512837 - 08/05/2025) და მერის არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის (06-762513426 - 14.05.2025) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში: სოფელ ქვემო კრიხში და სოფელ შუა კრიხში განმეორებით მოწვეულ იქნას დასახლებათა საერთო კრებები 2025 წლის 02 ივნისს 11 საათზე სოფელ ქვემო კრიხში (სოფლის ცენტრში) და 2025 წლის 02 ივნისს 12 საათზე სოფელ შუა კრიხში (სოფლის ცენტრში).

2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 29/01/2025 წლის ბ76. 762502911 ბრძანებით განსაზღვრულმა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის

ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მოწვეული დასახლებების საერთო კრებების ჩატარებაზე უფლებამოსილმა მეექვსე სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს ბრძანების პირველი პუნქტში მითითებულ სოფლებში და თარიღებში საერთო კრებების ჩატარება.

3. ეთხოვოთ: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ზაალ მეტრეველს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სოფლებში და თარიღებში დასახლებათა საერთო კრებების ჩატარება და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელს სოფიო ხიდურელს დასახლებების საერთო კრებების მდივნობა.

4. დასახლებაში განსახორციელებელი პროექტებისათვის თანხის ოდენობა განისაზღვროს 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების მეორე მუხლით განსაზღვრული ჩამონათვალის შესაბამისად.

6. ბრძანება გადაეგზავნოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. N13).

8. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ზვიადი მხეიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი